საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური
SPECIAL STATE PROTECTION SERVICE OF GEORGIA

SSPS 8 22 00046159

09/12/2022

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის 2022 წლის ანგარიში

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური წარმოადგენს ანგარიშს 2022 წლის განმავლობაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით მიღებული გადაწყვეტილებების, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნისა და გაცემის მდგომარეობის შესახებ, კერძოდ:

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს № 219 დადგენილების შესაბამისად, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში 2022 წელს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე, ასევე საჯარო ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი იყო სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის საორგანიზაციო-საინფორმაციო განყოფილების უფროსი - თინათინ ჩიქოვანი.

2. სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში დაფიქსირებულია გარედან შემოსული 85 მოთხოვნა/განცხადება, თანამშრომელთა მოთხოვნების საფუძველზე გაცემულია 401 ცნობა/ინფორმაცია საჭიროების ადგილზე წარსადგენად;

3. საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნის არცერთი შემთხვევა არ არის დაფიქსირებული;

4. საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით გარედან შემოსული 85 განცხადებიდან:

ა) 80 განცხადების ავტორი იყო ფიზიკური პირი, 2 განცხადების წარმომდგენი იყო იურიდიული პირი (დაწესებულება, ორგანიზაცია) და 3 მოთხოვნის წარმომდგენი იყო სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანო;

ბ) დასაშვებ ფარგლებში დაკმაყოფილდა 85 მოთხოვნა/განცხადება და გაიცა შესაბამისი ინფორმაცია;

გ) საჯარო ინფორმაციის ნაწილში დაუკმაყოფილებლად დატოვებული განცხადება არ ყოფილა.

საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში არ შემოსულა ისეთი შინაარსის განცხადება, რომელიც გამოიწვევდა მისი ქვემდებარეობის წესით უფლებამოსილ ორგანოში გადაგზავნას.

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ცალკეული სტრუქტურული ერთეულები კანონმდებლობით დაკისრებული ფუნქციების გათვალისწინებით და თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებდნენ პერსონალური მონაცემების დამუშავებას. მონაცემებზე

წვდომით სარგებლობენ მხოლოდ სათანადო დაშვების მქონე თანამდებობის პირები. აღნიშნულთან დაკავშირებული ინფორმაცია დაცულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გარანტირებული სტანდარტების შესაბამისად.

სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ განაცხადების განხილვა და ინფორმაციის გაცემა ხორციელდებოდა „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, „საჯარო სამსახურის შესახებ“, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ და „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონების ნორმების გათალისწინებით. პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია გაიცემოდა მხოლოდ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით და პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონით დადგენილ შემთხვევებში, კანონით გათვალისწინებული წინაპირობების საფუძველზე.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში საჩივარი არ შემოსულა და ამ მხრივ ხარჯები არ წარმოშობილა.

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფლებამოსილ და პასუხისმგებელ პირთა მხრიდან საჯარო ინფორმაციის გაცემის საკითხებთან დაკავშირებით კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევა არ დაფიქსირებულა და შესაბამისად, დისციპლინური წარმოებაც არ განხორციელებულა.

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური
სამსახურის უფროსი
ანზორ ჩუბინიძე